005570614

ექსპერტის დასკვნა № 005570614

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: შპს დი და ჯი

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ., №154

სახელი და გვარი: ლაშა მაისურაძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

დათო ფირყულაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 7 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, ჩაატაროთ ექსპერტიზა და დაადგინოთ შ.პ.ს. „დი და ჯი“-ს (მისამართი დავით აღმაშენებელის გამზირი 154) „დანიური სახლი“-ს შენობის სიმყარე, რათა გაირკვეს შესაძლოა თუ არა აღნიშნულ შენობაზე დაშენების განხორციელება.

შემოსვლის თარიღი: 03.09.2014წ

გასვლის თარიღი: 16.10.2014წ

დასკვნა

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ 154-ში არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა შესაძლებლობას იძლევა მასზე განხორციელდეს დამატებითი სართულის დაშენება, თუმცა უშუალოდ დაშენების მოწყობამდე, მზიდი კონსტრუქციების სრულყოფილი გამოკვლევისათვის საჭიროა ქვემოთმოცემული დეტალური ინსტრუმენტული კვლევების ჩატარება, ხოლო დაშენების მოწყობის წესი და არსებული კონსტრუქციების შესაძლო გამაგრებისათვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ჩამონათვალი და თანმიმდევრობა ასახული უნდა იქნას წინასწარ, სათანადოდ დამუშავებულ პროექტში.

დათო ფირყულაშვილი

გამოკვლევა

2014 წლის 13 ოქტომბერს შესწავლილ იქნა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ 154-ში არსებული შენობა, მისი ტექნიკური მდგომარეობისა და დამატებითი სართულის დაშენების შესაძლებლობის დადგენის მიზნით.

შენობისა და მისი ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების შესწავლა მოხდა ვიზუალურად (დათვალიერებით) არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციით, ასევე ცნობად იქნა მიღებული შენობის პერსონალისაგან მიღებული ინფორმაცია მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში შენობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ჩვენი მცდელობის მიუხედავად ვერ იქნა მოპოვებული არსებული შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები და კონსტრუქციული ნახაზები, რაც საფუძველი უნდა ყოფილიყო ფუძე-გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების და მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ტიპების და კვეთების დასადგენად.

საკვლევი ობიექტი წარმოადგენს ოთხსართულიან, უსარდაფო შენობას, ფუნქციური დანიშნულებით - სავაჭრო ცენტრი. „დანიური სახლის“ შენობა თავდაპირველად დაპროექტებული და აშენებულია როგორც სამსართულიანი ნაგებობა, რომელზედაც ექსპლუატაციის შემდგომ პერიოდში დაშენებულია ერთი სართული.

ძირითადი შენობის მზიდი კონსტრუქციები შესრულებულია რკინაბეტონის კარკასით, სართულშორის გადახურვებად გამოყენებულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები. დაშენებული სართულის მზიდი კონსტრუქციები კომბინირებული სახისაა - ლითონის ნაგლინი პროფილებით შესრულებულ დგარებზე მოწყობილია ლითონისავე კოჭოვანი უჯრედი, მონოლითური რკინაბეტონის ფენილით. სახურავი ბრტყელია, ბურულად გამოყენებულია რუბეროიდი.

მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური კვლევით დადგინდა, რომ მზიდი ელემენტები შესრულებულია დამაკმაყოფილებელი ხარისხით, მათზე არ შეინიშნება ისეთი სახის დაზიანებები როგორიცაა ჯდენა, ვერტიკალური მდგომარეობიდან გადახრა და ა.შ. მთლიანობაში, შენობის ტექნიკური მდგომარეობა შესაძლებლობას იძლევა მასზე განხორციელდეს დამატებითი სართულის დაშენება. თუმცა იმის გამო, რომ ძირითადი მზიდი კონსტრუქციები დაფარულია მოსაპირკეთებლი მასალებით და მხოლოდ ვიზუალურად ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა არ იძლევა შენობის ტექნიკური მდგომარეობის სრულყოფილ სურათს, აუცილებელია შენობის მზიდ კონსტრუქციებზე დეტალური ინსტრუმენტული კვლევების ჩატარება, რაც გულისხმობს:

1. საძირკვლების ტიპის, გეომეტრიული პარამატრებისა და ჩაღრმავების სიდიდის დადგენას;

2. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგად ფუძე-გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დადგენას;

3. მზიდ კონსტრუქციებში გამოყენებული მასალების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების დასადგენად ინსტრუმენტული კვლევების ჩატარებას;

4. შენობის გეომეტრიული პარამეტრების, მზიდი კონსტრუქციების განლაგების და მთლიანობაში კონსტრუქციული სქემის დასაზუსტებლად აზომვითი სამუშაოების ჩატარებას;

აღნიშნული საკითხები სხვა აუცილებელად ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებთან ერთად ასახული უნდა იქნას წინასწარ, სათანადოდ დამუშავებულ პროექტში, რომელიც თავის მხრივ სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედი სეისმომედეგი მშენებლობისა და სხვა ტექნიკური ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებთან.

ამრიგად, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ 154-ში არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა შესაძლებლობას იძლევა მასზე განხორციელდეს დამატებითი სართულის დაშენება, თუმცა უშუალოდ დაშენების მოწყობამდე, მზიდი კონსტრუქციების სრულყოფილი გამოკვლევისათვის საჭიროა ზემოთმოცემული დეტალური ინსტრუმენტული კვლევების ჩატარება, ხოლო დაშენების მოწყობის წესი და არსებული კონსტრუქციების შესაძლო გამაგრებისათვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ჩამონათვალი და თანმიმდევრობა ასახული უნდა იქნას წინასწარ, სათანადოდ დამუშავებულ პროექტში.

დათო ფირყულაშვილი

გამოყენებული მასალები

გამოყენებული ლიტერატურა (სტანდარტი, რეგლამენტები...)

1. პნ 01.05-08 - სამშენებლო კლიმატოლოგია;

2. პნ 01.01-09 - სეისმომედგი მშენებლობა;

3. პნ 02.01-08 - შენობების და ნაგებობების ფუძეები;

005570614

4. ᲡᲜ 03.01-09 - ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები;

5. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ;

6. СП 13-102-2003 - Правила Обследования Несущих Строительных Конструкций Зданий и Сооружений

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია